


მყიდველებში რეგისტრირდებიან იურიდიული ან ფიზიკური პირები, რომლებზეც კომპანია ახორციელებს, საქონლის, მომსახურების ან სხვა რამე აქტივის რეალიზაციას.

ცნობარის ელემენტის შექმნა შესაძლებელია როგორც მანუალურად (ხელით), ასევე პაკეტურად ცხრილური დოკუმენტებიდან მონაცემების ჩატვირთვის დამუშავების გამოყენებით ([როგორ ჩავტვირთოთ გარე ფაილიდან მონაცემები](#)).

მყიდველის შექმნა

- ძირითად მენიუში აირჩიეთ გაყიდვების ქვესისტემა
- საცნობარო ინფორმაციის ჯგუფიდან აირჩიეთ მენიუს პუნქტი „მყიდველები“
- დააჭირეთ „შექმნა“ ღილაკს
- შეიყვანეთ მყიდველის სახელი
- შეიყვანეთ საიდენტიფიკაციო ნომერი. ღილაკზე „ინფორმაციის მიღება“  დაჭერით შესაძლებელია შეყვანილი ნომრის სისწორის შემოწმება და იურიდიული ინფორმაციის ავტომატური შევსება ([როგორ შევამოწმო მყიდველის/მომწოდებლის ს/ნ](#)).
- იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაციის მიღება სუბიექტის შესახებ ვერ განხორციელდა* შეავსეთ პირის იურიდიული დასახელება, სამართლებრივი ფორმა და დღგ-ის დაბეგვრის რეჟიმი ([დღგ-ით დაბეგვრა](#))
- აირჩიეთ ძირითადი ვალუტა. აღნიშნული ვალუტით ავტომატურად ივსება ანგარიშსწორების ვალუტა კონკრეტული ოპერაციების განხორციელებისას, თუმცა შესაძლებელია მისი ცვლილება ([ვალუტაში ანგარიშსწორება](#)).
- მყიდველის აღრიცხვის ანგარიშები ივსება ავტომატურად, პროგრამის აწყობებში მითითებული ძირითადი ანგარიშების მიხედვით, თუმცა მათი რედაქტირება ბარათზე შესაძლებელია ([როგორ ავაწყო მყიდველის აღრიცხვის ანგარიშები](#)).
- თუ მყიდველთან გაყიდვის ოპერაციები წარმოებს ძირითადი ფასისგან განსხვავებული ფასებით მყიდველის ბარათზე საჭიროა შესაბამისი ფასის ტიპის მითითება. მითითებული ფასის ტიპი ავტომატურად შეივსება აღნიშნულ მყიდველზე გაყიდვების ოპერაციების განხორციელებისას.
- მყიდველის დამატებისათვის დააჭირეთ „ჩაწერა“ ან „ჩაწერა და დახურვა“ ღილაკს.

BASC - Accounting Service (მყიდველი)

ჩაწერა და დახურვა ჩაწერა მ კიდევ

მთავარი მისამართები, ტელეფონები დამატებით მყიდველების აქტივობა

ჯგუფი: კოდი:
 დასახელება: ს/ნ:
 სრული დასახელება: სამართლებრივი ფორმა:
 დღგ-ით დაბეგრა: გათავისუფლებული მოგების გადასახადისგან
 ვალუტა: ქვეყანა:
 საბანკო ანგარიში:

აღრიცხვის ანგარიშები

ანგარიშსწორების აღრიცხვის ანგარიში:
 ავანსების აღრიცხვის ანგარიში:

მყიდველის დღგ-ით დაბეგრა

მყიდველთან ოპერაციების დღგ-ით დაბეგვრის რეჟიმი დამოკიდებულია მყიდველის ბარათზე „დღგ-ით დაბეგრა“ ველის მნიშვნელობაზე.

დღგ-ით დაბეგრა	დანიშნულება	აღწერა
დღგ-ის გადამხდელი	დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული ფიზიკური ან იურიდიული პირი	გაყიდვის ოპერაცია იბეგრება დღგ-ით. დღგ-ის 0%-იანი განაკვეთით დაიბეგრება მხოლოდ იმ საქონლის ან მომსახურების რეალიზაცია, რომლებიც საგადასახადო კოდექსის მიხედვით გათავისუფლებულია ჩათვლის უფლებით ან მის გარეშე.
არ არის დღგ-ის გადამხდელი	პირი, რომელიც არ არის დღგ-ის გადამხდელი	გაყიდვის ოპერაცია იბეგრება დღგ-ით. დღგ-ის 0%-იანი განაკვეთით დაიბეგრება მხოლოდ იმ საქონლის ან მომსახურების რეალიზაცია, რომლებიც საგადასახადო კოდექსის მიხედვით გათავისუფლებულია ჩათვლის უფლებით ან მის გარეშე.

ექსპორტი	მყიდველთან რეალიზაცია ხდება ექსპორტზე	გაყიდვის ოპერაცია განთავისუფლებულია დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით
დიპლომატი	პირი, რომელსაც გააჩნია დიპლომატიური პროტოკოლის დეპარტამენტის მიერ გაცემული სტატუსის დამადასტურებელი სააკრედიტაციო ბარათი	გაყიდვის ოპერაცია განთავისუფლებულია დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქონელი ან მომსახურება საგადასახადო კოდექსის მიხედვით გათავისუფლებულია გადასახადისგან ჩათვლის უფლების გარეშე.

როგორ ავაწყო მყიდველის აღრიცხვის ანგარიშები

იმისთვის რომ სწორად აისახოს მყიდველებთან განხორციელებული ოპერაციები, საჭიროა მყიდველის აღრიცხვის ანგარიშების შევსება. მყიდველის დამატებისას ანგარიშები ავტომატურად ივსება პროგრამის აწყობებში მითითებული ძირითადი ანგარიშების მიხედვით.

აღრიცხვის ანგარიშები

ანგარიშსწორების აღრიცხვის ანგარიში: ▼

ავანსების აღრიცხვის ანგარიში: ▼

აღრიცხვის ანგარიშები	აღწერა	კლასი
ანგარიშსწორების აღრიცხვის ანგარიში	გამოიყენება მყიდველის დავალიანების აღრიცხვისთვის	მყიდველი
ავანსების აღრიცხვის ანგარიში	გამოიყენება მყიდველისგან მიღებული ავანსის აღრიცხვისთვის ¹	ავანსები მყიდველისგან

დამატებითი ინფორმაცია

- მისამარეთები და ტელეფონების ჩანართზე არსებული ველები განკუთვნილია მყიდველის ძირითად საკონტაქტო ინფორმაციის შესავსებად.

¹ გამოიყენება იმ შემთხვევაში თუ კომპანია იყენებს მყიდველების ავანსების აღრიცხვას ცალკე ანგარიშზე (ადმინისტრირება > ანგარიშსწორება > მყიდველების ავანსების აღრიცხვა ცალკე ანგარიშზე)

- ჩანართზე „დამატებითი“ შესაძლებელია ტექსტური სახით დამატებითი ინფორმაციის შეყვანა (კომენტარი). ამავე ჩანართზე აისახება მყიდველების დამატებითი რეკვიზიტები ([როგორ ავაწყო დამატებითი რეკვიზიტები](#))
- „მყიდველების აქტივობების“ ჩანართზე აისახება არსებულ პერიოდში მყიდველებთან დაკავშირებული ოპერაციები. ოპერაციების ფილტრაცია შესაძლებელია პერიოდის ფილტრის დაყენებით.

საბანკო ანგარიშის დამატება

საბანკო ანგარიშის დამატება მყიდველის, მომწოდებლის ან ფიზიკურ პირისათვის შესაძლებელია შესაბამისი ცნობარის ბარათიდან „საბანკო ანგარიშის“ ველზე არჩევა ღილაკზე დაჭერით.

- დააჭირეთ ღილაკს - „შექმნა“
- იმის მიხედვით, თუ მონაცემთა ტიპის რომელ ბარათს ავსებთ (თანამშრომელი, კომპანია, მომწოდებელი, მყიდველი), საბანკო ანგარიშზე შეიქმნება შესაბამისი ტიპისთვის.
- შეავსეთ ანგარიშის ნომერი
- იმ შემთხვევაში თუ ანგარიში მულტისავალუტოა მონიშნეთ ალამი „მულტისავალუტო“, წინააღმდეგ შემთხვევაში აირჩიეთ ვალუტა

GE10BG000000887027800 (GEL) (საბანკო ანგარიში) *

ჩაწერა და დახურვა

მყიდველი:

ანგარიშის ნომერი: მულტისავალუტო: ვალუტა:

ბანკი, რომელშიც გახსნილია ანგარიში

ბანკის კოდი: ბანკის ფილიალი:

დასახელება:

ბანკი:

- მიუთითეთ „ბანკი“, რომელშიც გახსნილია ანგარიში ([როგორ დავამატო ბანკი](#)). ბანკის არჩევისას ავტომატურად ივსება „ბანკის კოდი“
- დააჭირეთ ღილაკს „ჩაწერა და დახურვა“, რის შედეგადაც საბანკო ანგარიში ავტომატურად მიეთითება ბარათზე.

Note: ანგარიშის დასახელება ავტომატურად ივსება საბანკო ანგარიშის ნომრისა და ვალუტის მიხედვით

ბანკის დამატება

ბანკის დამატება შესაძლებელია შემდეგნაირად:

1. შერჩევა კლასიფიკატორიდან
2. ხელით დამატება

ბანკები

არჩევა შერჩევა კლასიფიკატორიდან კიდევ

დასახელება	ბანკის საიდენტიფიკაციო კოდი	კოდი (IBAN)	ბანკის ამონაწერის ტიპი
------------	-----------------------------	-------------	------------------------

კლასიფიკატორიდან შერჩევა

„კლასიფიკატორიდან შერჩევა“ ღილაკზე დაჭერით იხსნება კლასიფიკატორის ფორმა, სადაც მოცემულია საქართველოში რეგისტრირებული ბანკების მონაცემები.

შერჩევა ძებნა... ძებნის შეწყვეტა

ბანკის კოდი	IBAN კოდი	ბანკის დასახელება
BNLNGE22	NB	საქართველოს ერთვნილი ბანკი
IBAZGE22	AZ	აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი
CBASGE22	BS	ბაზისბანკი
CNSBGE22	CN	ბანკი კონსტანტა
CRTUGE22	CR	ბანკი ქართუ
DISNGE22	BT	სილქ როუდ ბანკი
UGEBGE22	VT	ვითიბი ბანკი ჯორჯია
TCZBGE22	ZB	ზირაათ ბანკი საქართველო
TBCBGE22	TB	თიბისი ბანკი
IJSMGE22	IN	ინვესტ ბანკი
DEVGGE22	CS	კავკასიის განვითარების ბანკი - საქართველო
TEBAGE22	KS	ტურაბანკი
PRSGGE22	PG	პროგრეს ბანკი
MIBGGE22	PC	პროგრედიტ ბანკი
BAGAGE22	BG	საქართველოს ბანკი
LBRTGE22	LB	ლიბერთი ბანკი
CAVOGE22	TP	პრივატბანკი
HABGGE22	HB	ხალოვ ბანკი საქართველო
REPLGE22	BR	თიბისი ბანკის დროებითი კოდი
ISBKGE22	IS	იშბანკი საქართველო
PAHAGE22	PB	პაშა ბანკი საქართველო
FGEOGE22	FG	ფინეა ბანკი საქართველო
TRESGE22	TR	სახელმწიფო საზინა
JSCRGE22	CD	კრედო ბანკი

სასურველი ბანკის ან ბანკების მონიშვნით და „შერჩევა“ ღილაკზე დაჭერით ბანკების ცნობარში ავტომატურად ემატება ახალი ელემენტები.

ბანკის ხელით დამატება

იმ შემთხვევაში, თუ ბანკი არ არის კლასიფიკატორში, შესაძლებელია მისი ხელით დამატება.

- დააჭირეთ „შექმნა“ ღილაკს

ბანკი (შექმნა) 2

ჩაწერა და დახურვა ჩაწერა კიდევ ▾

ბანკის საქმიანობა შეწყვეტილია

დასახელება:

კოდი (IBAN): ბანკის კოდი:

ჯგუფი ბანკები: ▾

ბანკის ამონაწერის ტიპი: ▾

- შეავსეთ ბანკის დასახელება და კოდი
- იმ შემთხვევაში, თუ გსურთ აღნიშნული ბანკის ამონაწერის პროგრამაში შეტვირთვა აირჩიეთ „ბანკის ამონაწერის ტიპი“ – „საერთო ფორმატი“ (თუ ჩამონათვლის სხვა მნიშვნელობები არ შეესაბამება)
- მას შემდეგ რაც შეავსებთ შესაბამის ველებს დააჭირეთ ღილაკს „ჩაწერა და დახურვა“.